მასწავლებელთა სერტიფიცირება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა 2005-2023 წლებში

ნოემბერი, 2023

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

შინაარსი

- მიგნებები
- მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით: 2008-2015 წლები
- მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება: 2015-2023 წლები
- საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

მიგნებები

მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები 2010-2015 წლებში

- 2010 წელს პირველ სასერტიფიკატო საგნობრივ გამოცდაზე გამოსული 6639 მასწავლებლიდან მინიმალური ზღვრის გადალახვა 2552-მა (38,4%), ხოლო მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდაზე გამოსული 9905 მასწავლებლიდან მინიმალური ზღვრის გადალახვა მთლიანობაში 3054-მა (30,8%) მასწავლებელმა შეძლო. განსაკუთრებულად დაბალი იყო მათემატიკის საგნობრივი გამოცდის ჩაბარების მაჩვენებელი. მასწავლებელთა 26%-მა შეძლო მათემატიკაში ბარიერის გადალახვა;

- 2010-2014 წლებში მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდაზე დარეგისტრირდა 87280 აპლიკანტი. უშუალოდ გამოცდაზე გავიდა 63638 ანუ დარეგისტრირებულ აპლიკანტთა მხოლოდ 72.9%;

- 2010-2014 წლებში პროფესიული უნარების გამოცდაზე გასული 63638 აპლიკანტიდან მინიმალური ზღვარი გადალახა 26 471-მა ანუ გამოცდაზე გასულთა მხოლოდ 41,6%-მა. 5 წლის განმავლობაში ზღვარგადალახულ აპლიკანტთა რაოდენობა 26471 იყო, რომელთაგან 2012 წელს ზღვარი 11937-მა გადალახა. ანუ ზღვარგადალახულ აპლიკანტთა 45%-მა;

- 2010-2015 წლებში საგნობრივი გამოცდის მინიმალური ზღვრის გადალახვის მაჩვენებელი განსხვავდება საგნების მიხედვით. გამოცდის წარმატებით ჩაბარების სტაბილურად დაბალი მაჩვენებელი აქვთ დაწყებითი კლასების, ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლებს, ხოლო წარმატებით ჩაბარების მაღალი წილით გამოირჩევიან უცხო ენის მასწავლებლები.

მიგნებები

მასწავლებელთა გადანაწილება სტატუსების მიხედვით 2016-2023 წლებში

- ყველაზე მეტი უფროსი და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებელი შიდა ქართლსა და იმერეთშია. ყველაზე მეტი პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებელი კი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, რაც ამ რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების დიდი კონცენტრაციითა გამოწვეული. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა დაგვიანებით მიეცათ, რამაც ამ სკოლის მასწავლებლები არათანაბარ პირობებში ჩააყენა;
- რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საჯარო სკოლებში სტატუსის გარეშე მასწავლებლების წილი საერთო რაოდენობის თითქმის 20 პროცენტია, რაც პედაგოგიური კადრების ზოგადი სიმცირით არის გამოწვეული;
- 2016-2017-დან 2018-2019 წლების ჩათვლით, კერძო სკოლის მასწავლებლებს შორის პროცენტულად მეტს ჰქონდა მაღალი პროფესიული სტატუსი, ვიდრე საჯარო სკოლების მასწავლებლებს;
- 2019-2020 წლიდან, ამგვარი დინამიკა არ შეინიშნება. 2016-2017 სასწავლო წლიდან დღემდე, კერძო სკოლებში სტატუსის გარეშე მასწავლებლების წილის მატება უფრო დინამიურია. 2019-2020 და 2020-2021 წლებში, პრაქტიკოსი მასწავლებლები კერძო სკოლებში უფრო მაღალი წილით იყვნენ წარმოდგენილები, ვიდრე საჯარო სკოლებში.

მიგნებები

მასწავლებელთა გადანაწილება სტატუსების მიხედვით 2016-2023 წლებში

- მაძიებელი მასწავლებლების ყველაზე მეტი წილი წარმოდგენილია აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. მასწავლებლების თითქმის 48% კი პრაქტიკოსის სტატუსის მქონეა;

- 35%-ზე მეტი პრაქტიკოსი მასწავლებელია სომხურენოვან სკოლებში. ყველაზე მეტი უფროსი მასწავლებელი წილობრივად რუსულენოვან სკოლებშია და საერთო რაოდენობის 76%-ზე მეტს შეადგენს;

- წამყვანი მასწავლებლის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ქართულენოვან სკოლებშია და ეს მაჩვენებელი 16,3%-ს შეადგენს;

- უკრაინელ მასწავლებელთა 90%-ზე მეტი სტატუსის გარეშეა.

მიგნებები

სერტიფიცირება, პროფესიული განვითარება და მასწავლებლის სტატუსზე დანამატი

- სახელფასო დანამატის სისტემას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მასწავლებლის მოტივაციაზე, ჩაერთოს პროფესიული განვითარების სქემაში;

- მნიშვნელოვანი კარიერული წინსვლის პერსპექტივისა თუ ფინანსური მოტივაციის გარეშე მასწავლებლები არ ერთვებოდნენ პროფესიული განვითარების სქემაში 2010-2014 წლებში. 2014 წლის მონაცემით, 14226 სერტიფიცირებული მასწავლებლიდან მხოლოდ 8148 მასწავლებელი იყო ჩართული პროფესიული განვითარების სქემაში;

- უკანასკნელი წლების განმავლობაში არ გაზრდილა მასწავლებელთა საბაზო ხელფასი და ის შეადგენს 405 ლარს. მეორე მხრივ, 2015 წლიდან დღემდე მასწავლებელს აქვს სტატუსის დანამატი, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში დღემდე თითქმის გახუთმაგდა როგორც უფროსი, ასევე წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის.

მიგნებები

საპარლამენტო არჩევნები და ცვლილებები მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების სისტემაში

- საპარლამენტო არჩევნებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მასწავლებელთა სერტიფიცირების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული სქემის თვალსაზრისით გადაწყვეტილებების მიღებაზე;

- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პირობებში მასწავლებელთა სერტიფიცირების ტესტები გამარტივდა, რის შედეგადაც 2012 წელს მასწავლებელთა სერტიფიკატი მოიპოვა იმაზე მეტმა მასწავლებელმა, ვიდრე 2011,2013, 2014 და 2015 წლებში ერთად;

- 2012 წელს მასწავლებელთა პროფესიული გამოცდის მინიმალური ზღვარი გადალახა ყველაზე მეტმა მასწავლებელმა სხვა წლებთან შედარებით. 2010-2014 წლებში პროფესიული უნარების მინიმალური ზღვარი სულ 26000-ზე მეტმა მასწავლებელმა გადალახა, მათ შორის 45%-მა სწორედ 2012 წელს;

მიგნებები

საპარლამენტო არჩევნები და ცვლილებები მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების სისტემაში

- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, 2015-2016 წელს განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შედეგადაც:

(ა) ყველა მასწავლებელი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა სერტიფიცირებული და ადასტურებდა თუ არა საკუთარ კომპეტენციას - ავტომატურად გადანაწილდა მასწავლებელთა სხვადასხვა კატეგორიაში, მიენიჭა შესაბამისი სტატუსი და ჩაერთო პროფესიული განვითარების სქემაში;

(ბ) მასწავლებელთა უმრავლესობას მიეცა შესაძლებლობა, კომპეტენცია დაედასტურებინა და სტატუსი აემაღლებინა გამარტივებული გზით: შესაძლებელი ხდებოდა, საგნობრივ გამოცდაში 30%-იანი ზღვრის გადალახვის პირობებშიც კი, მასწავლებელი დაწინაურებულიყო უმაღლესი - მენტორი მასწავლებლის კატეგორიამდეც კი*;

***გაგრძელება შემდეგ გვერდზე**

მიგნებები

საპარლამენტო არჩევნები და ცვლილებები მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების სისტემაში

- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, 2015-2016 წელს განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შედეგადაც:

(გ) სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, რომლებიც არ იყვნენ სისტემაში და, სხვადასხვა მონაცემებით, მათი რაოდენობა 700-დან 1300-მდე იყო, არ მიეცათ შესაძლებლობა, ჩაენაცვლებინათ არასერტიფიცირებული პედაგოგები, რადგან არასერტიფიცირებულ პედაგოგებს მიენიჭათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. მათ მიეცათ 4 წლის ვადა ამ სტატუსის ასამაღლებლად, ამავე დროს, ეს ვადა გარკვეული პირობებით რამდენჯერმე გადავადდა;

(დ) პროფესიული უნარების გამოცდის ვალდებულება ჩანაცვლდა კრედიტების დაგროვების ალტერნატიული სისტემებით და ალტერნატიული კრედიტების დასაგროვებლად მასწავლებლებს მიეცათ 3+1 წლის ვადა, რაც ბევრად უმარტივებდა სტატუსის შეცვლას - იმ პირობებშიც კი, თუ მათი პროფესიული კომპეტენცია დაბალი იყო, რადგან ობიექტურად გაზომვადი ინსტრუმენტით მათი კომპეტენციის შემოწმება სავალდებულო აღარ იყო.

მიგნებები

საპარლამენტო არჩევნები და ცვლილებები მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების სისტემაში

- 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვისაც გამოჩნდა მასწავლებლებისთვის სერტიფიცირების პროცესის გამარტივების ტენდენცია. 2019-2020 წლებში 23360-მა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი: პრაქტიკოსი მასწავლებლიდან გადავიდა უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან 2020 წლამდე პრაქტიკოსი მასწავლებლების რაოდენობა 33039-მდე შემცირდა, ანუ ამ რაოდენობის მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და მათგან 70,7%-მა სწორედ 2019-2020 წლებში მოახერხა სტატუსის ამაღლება;
- 2020 წლისთვის მასწავლებელთა 21% პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვადა პრაქტიკოსობიდან უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში გადასასვლელად იწურებოდა, მასწავლებლებს დამატებითი გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა მიეცათ სტატუსის ასამაღლებლად 2020 წლის შემდგომაზე;

მიგნებები

საპარლამენტო არჩევნები და ცვლილებები მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების სისტემაში

- 2024 საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, 2023 წლიდან დაანონსდა ახალი ცვლილებები მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. თუმცა, დეტალები არ დაზუსტებულა და არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი; ცვლილებები გულისხმობს: ა) წამყვანი და მენტორი მასწავლებლის გამოცდის დროებით შეჩერება და 2023 წელს არჩატარება; (ბ) მენტორი მასწავლებლის განსაკუთრებული წესით მიმნიჭებელი კომისიის მუშაობის შეჩერება; (გ) 360 გრადუსიანი პორტფოლიოზე დაფუძნებული შეფასების ვადის გადაწევა და პროცედურების გამარტივება; (დ) სახელფასო დანამატის მასწავლებლის სტატუსთან მიბმის პოლიტიკის შეცვლა და გადახედვა; (ე) 2024 წლისთვის საბაზო ხელფასის გაზრდა და 160 მილიონი ლარის დამატებით მიმართვა მასწავლებელთა ხელფასების გაზრდისკენ.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით: 2008-2015 წლები

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

2005 წლიდან დღემდე ზოგადი განათლების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მასწავლებელთა პროფესიული ზრდისკენ გადადგმული ნაბიჯია.

2008 წელს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცება (ბრძანება №1014) მასწავლებლების საწყისი და უწყვეტი პროფესიული განვითარების ძირითად საყრდენს წარმოადგენდა.

2009 წელს გამოიცა და დამტკიცდა ბრძანება მასწავლებლის სერტიფიცირების სტატუსის შესახებ (№1101), რომლის მიხედვითაც, მასწავლებელთა ეროვნული სასერტიფიკატო გამოცდები საგანსა და პროფესიულ უნარებში წარმოადგენდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების კონცეფციის ამოსავალ წერტილს.

ბრძანება განსაზღვრავდა მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდის, ასევე მასწავლებლის სტატუსის მიღების, განახლებისა და შეწყვეტის კონკრეტულ პირობებს.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდები პირველად 2010 წელს ჩატარდა ზოგადპროფესიულ უნარებში და ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, აგრეთვე ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული ენის საგნებში.

ამ წელს საგნობრივ გამოცდაზე გასული 6639 მასწავლებლიდან მინიმალური ზღვრის გადალახვა, 2552-მა (38,4%), ხოლო მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდაზე გასული 9905 პირიდან, მინიმალური ზღვრის გადალახვა მთლიანობაში 3054-მა (საშუალოდ 30,8%) მასწავლებელმა შეძლო.

თუმცა, აღსანიშნავია ის სხვაობაც, რაც ამ წელს საგნების მიხედვით დაფიქსირდა. მაგალითად, რუსული ენის გამოცდაზე მინიმალური ზღვარი მასწავლებლების თითქმის 65%-მა გადალახა, მაშინ, როდესაც მათემატიკის საგნობრივი გამოცდის ჩაბარება მასწავლებლების მხოლოდ 26%-მა შეძლო.

გამოცდა	2010 წელი			
	რეგისტრაცია გაიარა	მონაწილეობა მიიღო	გადალახა მინ. ზღვარი	გადალახა მინ. ზღვარი %
პროფესიული უნარები	13214	9905	3054	30.8%
საგნობრივ გამოცდა სულ	9530	6639	2552	38.4%
ქართული ენა და ლიტ.(VII-XII)	3226	2160	768	35.6%
მათემატიკა (VII-XII)	2801	1971	511	25.9%
ინგლისური ენა (I- XII)	1407	999	414	41.4%
რუსული ენა (I- XII)	1439	1121	717	64.0%
გერმანული ენა (I- XII)	527	307	107	34.9%
ფრანგული ენა (I- XII)	130	81	35	43.2%

ცხრილი 1. ზღვარგადალახულ მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი საგნობრივ ჭრილში.
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

2015 წლიდან, ზოგადი პროფესიული უნარების გამოცდის სავალდებულობა გაუქმდა და მხოლოდ საგნობრივი კომპეტენციების დადასტურება დარჩა. საგნობრივ გამოცდებზე გასული მასწავლებლების მიერ მინიმალური ზღვრის გადალახვის საშუალო მაჩვენებელი პროცენტებში, წლების დინამიკაში, მოცემულია ცხრილი 2-ში.

თვალსაჩინოა სამი მნიშვნელოვანი დეტალი, კერძოდ:

1. როგორ ემატებოდა მასწავლებლების სასერტიფიკატო გამოცდები საგნებისა და საგნობრივი მიმართულებების მიხედვით;

2. როგორი დინამიკით ხასიათდებოდა მასწავლებლების გამოცდებზე გასვლისა და მინიმალური ზღვრის გადალახვის სტატისტიკა წლიდან წლამდე.

3. როგორ განსხვავდება მასწავლებლების გამოცდაზე რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლისა და მინიმალური ბარიერის გალახვის სტატისტიკაში სხვაობა საგნების / საგნობრივი მიმართულებების მიხედვით.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

მაგალითად, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების სასერტიფიკატო გამოცდა პირველად 2014 წელს ჩატარდა და ამ წელს, მინიმალური ზღვრის გადალახვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა მასწავლებლების მაჩვენებელს, რაც, ერთი მხრივ, მასწავლებლების ტესტირებისათვის მეტ მომზადებას, ასევე, უკეთეს ფსიქოლოგიურ და მორალურ მზაობას და, მეორე მხრივ, მათ უფრო მაღალ პროფესიულ კომპეტენციებს უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების რაოდენობა ამ წლებში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე გამოცდაზე გამოსულთა საერთო რაოდენობა, რეალურად, მასწავლებლებლების მომზადებულმა ნაწილმა სწორედ პირველი ორი წლის განმავლობაში დაადასტურა საკუთარი კომპეტენციები.



მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

- მეორე მხრივ, დაწყებითი კლასების (I-IV) მასწავლებლების სერტიფიცირების პროცესი 2011 წელს დაიწყო, და მასწავლებლების დარეგისტრირებისა და მასწავლებლების დიდი ნაწილი გამოცდის პირველსავე წელს, ხოლო 2012 წელს კი 2015 წლამდელი პერიოდისათვის ყველაზე მეტი დაწყებითი განათლების მასწავლებელი დარეგისტრირდა.
- საგულისხმოა, რომ სწორედ 2011 და 2012 წლებში შეძლეს გამოცდაზე გასული მასწავლებლების დაახლოებით 24-28%-მა საკუთარი კომპეტენციის დადასტურება.
- მომდევნო წლებში, გამოცდაზე გამოსული დაწყებითი კლასების მასწავლებლების რაოდენობა ყველა სხვა მასწავლებლის რაოდენობაზე მაღალია და დაწყებითი განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობის წილის თვალსაზრისითაც ყველაზე დიდია. თუმცა, კომპეტენციების დადასტურების მაჩვენებელი, 2013 და 2015 წლებში ყველა საგნის მასწავლებელს შორის მეორე ყველაზე დაბალი, ხოლო 2014 წელს კი ყველაზე დაბალი იყო.
- დაწყებითი განათლების მასწავლებლების ის ნაწილი, რომელიც მზად აღმოჩნდა სერტიფიცირების საშუალებით საკუთარი კომპეტენციების დადასტურებისათვის, უმეტესწილად, სწორედ პირველი ორი წლის განმავლობაში გავიდა ტესტირებაზე და მიიღო სერტიფიცირება.

საგანი	2015 წელი				2014 წელი				2013 წელი				2012 წელი				2011 წელი				2010 წელი			
	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა მინ ზღვარი	%	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა მინ ზღვარი	%	რეგისტრაცია გაიარა	მონაწილეობა მიიღო	გადალახა მინ ზღვარი	%	რეგისტრაცია გაიარა	მონაწილეობა მიიღო	გადალახა მინ ზღვარი	%	რეგისტრაცია გაიარა	მონაწილეობა მიიღო	გადალახა მინ ზღვარი	%	რეგისტრაცია გაიარა	მონაწილეობა მიიღო	გადალახა მინ ზღვარი	%
პროფესიული უნარები					8099	6557	1635		13656	11224	4190		31523	27689	11937		20738	18263	5655		**13214**	**9905**	**3054**	**30.8%**
ქართული ენა და ლიტ.(VII-XII)	927	573	170	**29.7%**	1085	910	503	**55.3%**	1602	1337	553	**41.4%**	2985	2568	1535	**59.8%**	2416	1988	747	**37.6%**	**3226**	**2160**	**768**	**35.6%**
მათემატიკა (VII-XII)	1154	742	83	**11.2%**	1079	889	71	**8.0%**	1373	1157	167	**14.4%**	1760	1526	359	**23.5%**	1672	1395	474	**34.0%**	**2801**	**1971**	**511**	**25.9%**
ინგლისური ენა (I- XII)	1313	809	282	**34.9%**	1192	928	284	**30.6%**	1461	1143	472	**41.3%**	2659	2197	1446	**65.8%**	1392	1166	476	**40.8%**	**1407**	**999**	**414**	**41.4%**
რუსული ენა (I- XII)	587	336	162	**48.2%**	361	283	131	**46.3%**	495	403	153	**38.0%**	1027	852	533	**62.6%**	1003	903	500	**55.4%**	**1439**	**1121**	**717**	**64.0%**
გერმანული ენა (I- XII)	85	35	6	**17.1%**	94	65	40	**61.5%**	143	110	66	**60.0%**	378	305	143	**46.9%**	301	262	116	**44.3%**	**527**	**307**	**107**	**34.9%**
ფრანგული ენა (I- XII)	16	8	3	**37.5%**	24	18	9	**50.0%**	50	42	24	**57.1%**	117	87	43	**49.4%**	71	57	25	**43.9%**	**130**	**81**	**35**	**43.2%**
ისტორია (VII-XII)	946	599	93	**15.5%**	843	714	275	**38.5%**	1270	1071	473	**44.2%**	2234	1922	640	**33.3%**	1519	1267	508	**40.1%**				
გეოგრაფია (VII-XII)	563	415	11	**2.7%**	469	419	152	**36.3%**	631	548	282	**51.5%**	1095	973	200	**20.6%**	712	609	233	**38.3%**				
სამოქალაქო განათლება (VII-XII)	647	453	103	**22.7%**	403	299	95	**31.8%**	422	328	59	**18.0%**	368	301	15	**5.0%**	199	157	67	**42.7%**				
ფიზიკა (VII-XII)	495	289	97	**33.6%**	329	250	29	**11.6%**	465	356	15	**4.2%**	710	580	129	**22.2%**	518	413	36	**8.7%**				
ქიმია (VII-XII)	511	312	54	**17.3%**	402	313	42	**13.4%**	560	435	43	**9.9%**	836	715	275	**38.5%**	627	521	226	**43.4%**				
ბიოლოგია (VII-XII)	538	394	70	**17.8%**	495	427	110	**25.8%**	601	508	125	**24.6%**	1137	972	427	**43.9%**	793	647	347	**53.6%**				
დაწყებითი (I-IV)	3425	2281	90	**3.9%**	3263	2794	119	**4.3%**	4301	3722	277	**7.4%**	6271	5542	1367	**24.7%**	3654	3014	855	**28.4%**				
ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI)	1933	1334	175	**13.1%**	1619	1380	197	**14.3%**	1747	1491	471	**31.6%**	1784	1515	560	**37.0%**								
მათემატიკა (I-VI)	1536	1105	194	**17.6%**	1443	1233	280	**22.7%**	1696	1472	330	**22.4%**	2525	2257	812	**36.0%**								
ბუნებისმეტყველება (I-VI)	818	522	50	**9.6%**	717	602	85	**14.1%**	845	711	217	**30.5%**	865	740	313	**42.3%**								
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	546	352	117	**33.2%**	501	425	175	**41.2%**	681	578	162	**28.0%**												
ქართული, როგორც მეორე ენა	358	259	164	**63.3%**	421	342	246	**71.9%**																
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგი	691	497	77	**15.5%**																				

ცხრილი 2. ზღვარგადალახულ მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი საგნობრივ ჭრილში. 2010-2015 წწ

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

გრაფიკში მოცემულია 2010-დან 2015 წლამდე საგნობრივ გამოცდაზე გასული მასწავლებლების ჩაბარების საშუალო მაჩვენებელი ქართულ ენისა და ლიტერატურის - 7-12 კლასი, მათემატიკისა - 7-12 კლასი და უცხო ენებისათვის (ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული ენები - 1-12 კლასები). სწორედ ამ საგნებში მიეცათ მასწავლებლებს 2010 წლიდან კომპეტენციების დადასტურების საშუალება.
ის, რომ სქემაში შეტანილი ცვლილებები მნიშვნელოვნად აისახა მასწავლებლების საგნობრივი გამოცდის ჩაბარების უნარზე, სწორედ ამ კონკრეტულ საგნებში ჩაბარების წილით დასტურდება.



გრაფიკი 1. 2010-დან 2015 წლამდე საგნობრივ გამოცდაზე გასული მასწავლებლების ჩაბარების საშუალო მაჩვენებელი იმ საგნებისათვის, რომლებიც 2010 წლიდან ბარდება.
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საგნობრივი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა სხვადასხვა საგნის მასწავლებელს სხვადასხვა წლებში მიეცა პირველად და, ამასთან, მასწავლებლების შედეგები საგნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

საგანი	**მინიმალური ზღვრის გადალახვის საშუალო პროცენტი 2010-2015 წლებში**
ქართული ენა და ლიტერატურა.(VII-XII)	34.2%
მათემატიკა (VII-XII)	15.5%
ინგლისური ენა (I- XII)	32.6%
რუსული ენა (I- XII)	41.1%
გერმანული ენა (I- XII)	32.1%
ფრანგული ენა (I- XII)	33.9%
ისტორია (VII-XII)	28.3%
გეოგრაფია (VII-XII)	26.0%
სამოქალაქო განათლება (VII-XII)	18.2%
ფიზიკა (VII-XII)	11.4%
ქიმია (VII-XII)	19.5%
ბიოლოგია (VII-XII)	27.5%
დაწყებითი (I-IV)	11.6%
ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI)	22.5%
მათემატიკა (I-VI)	20.9%
ბუნებისმეტყველება (I-VI)	20.0%
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	28.1%
ქართული, როგორც მეორე ენა	43.3%
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	18.5%
მუსიკა	24.3%
ხატვა	15.9%

ცხრილი 3. თითოეული საგნის მასწავლებლის მიერ მინიმალური ზღვრის გადალახვის საშუალო მაჩვენებელი 2010-2015 წლებისათვის

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

განსხვავებულია გამოცდაზე დარეგისტრირებული მასწავლებლების წილი საერთო რაოდენობასთან მიმართებით, ისევე, როგორც წლების მიხედვით სხვადასხვა საგანში, გამოცდაჩაბარებული მასწავლებლების წილიც განსხვავებულია.

საგნისა და საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს შორის, გამოცდის წარმატებით ჩაბარების სტაბილურად დაბალი მაჩვენებელი აქვთ, მაგალითად, დაწყებითი კლასებისა და ფიზიკის მასწავლებლებს, მაშინ, როდესაც სხვა საგნების მასწავლებლები, სტაბილურად ჩაბარების მეტ-ნაკლებად მაღალი წილით გამოირჩევიან. მაგალითად, უცხო ენის მასწავლებლები, საიდანაც ყველაზე მეტი წარმატებით ჩაბარებული გამოცდა რუსული ენის მასწავლებლებზე მოდის ყველა წელს.

მთლიანობაში, მასწავლებლების საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების მაღალი წილი 2011-2013 წლებზე მოდის, საიდანაც, 2012 წლის სტატისტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)



გრაფიკი 2. მასწავლებლების პროფესიული უნარების გამოცდაზე რეგისტრაციის, გასვლისა და გამოცდის მინიმალური ზღვრის გადალახვის სტატისტიკა 2010-2014 წლებში
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

2010-2014 წლებში დარეგისტრირდა 87280 აპლიკანტი, თუმცა უშუალოდ გამოცდაზე გავიდა მხოლოდ 63638 ანუ დარეგისტრირებულ აპლიკანტთაგან - მხოლოდ 72.9%. გამოცდაზე გასული 63638 აპლიკანტიდან მინიმალური ზღვარი გადალახა 26471-მა აპლიკანტმა, ანუ გამოცდაზე გასულ აპლიკანტთა მხოლოდ 41,6%-მა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 5 წლის განმავლობაში ზღვარგადალახულ აპლიკანტთა რაოდენობა 26471 იყო, რომელთაგან 2012 წელს ზღვარი 11937-მა აპლიკანტმა გადალახა. ანუ ზღვარგადალახულ აპლიკანტთა 45%-მა.

2014 წელს განახლდა მასწავლებლის სტანდარტი და გაჩნდა მასწავლებლის 4 კატეგორია, რომლებიც განსაზღვრავდა მათ კვალიფიკაციას პროფესიული მზაობისა და საქმიანობის მრავალფეროვნების მიხედვით. კატეგორიები მოიცავდა პედაგოგიური კვალიფიკაციის ყველაზე დაბალ - პრაქტიკოსის საფეხურს და, შესაბამისად, მომდევნო - უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების სტატუსებს.

სწორედ სტანდარტის ცვლილებას დაეფუძნა ერთი წლის შემდეგ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განხორციელებული სერიოზული ცვლილებებიც.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება წლებისა და საგნების მიხედვით (2008-2015 წლები)

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ 2014 წლამდე პერიოდში გამოცდაზე გასვლა და კომპეტენციის დადასტურება ნებაყოფლობითი იყო, ხოლო მასწავლებლებს კი, ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაშიც კი, საშუალება ეძლეოდათ, განმეორებით გამოცდაზე რამდენჯერმე გასულიყვნენ.

ამ პერიოდისათვის პროფესიულ სქემაში დარეგისტრირებული მასწავლებლების რიცხვი 8 148-ს შეადგენდა. მასწავლებლების უმნიშვნელო რაოდენობით ჩართულობა სქემაში, ერთი მხრივ, არასავალდებულო ხასიათით, არასაკმარისი ცნობიერებით, ხოლო, მეორე მხრივ - პროფესიული სქემის მიხედვით განსაზღვრული პროფესიული სტატუსის მიმართ ნაკლებ ინტერესს უკავშირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებლებისათვის კონკრეტული სტატუსის ქონა დამატებითი ინსენტივების გარეშე მიმზიდველი არ აღმოჩნდა.

2014 წლისთვის მთლიანობაში სასერტიფიკატო გამოცდების შედეგად სისტემაში სულ 14226 სერტიფიცირებული მასწავლებელი არსებობდა, რაც მასწავლებელთა მთლიანი კორპუსის დაახლოებით 21%-ს შეადგენდა. ამის გარდა, სისტემის მიღმა, სხვადასხვა მონაცემის მიხედვით 700 დან 1300 -მდე სერტიფიცირებული მასწავლებლობის მსურველი რჩებოდა.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება: 2015-2023 წლები

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

2015 წელს საქართველოს მთავრობის რეზოლუციით (№68), მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა განახლდა. ახალი სქემის მიხედვით, გაფართოვდა მასწავლებლის პროფესიაში შემოსვლისა და პროფესიის დატოვების სისტემები, ასევე მასწავლებლის პროფესიული პრაქტიკის შეფასების მეთოდოლოგია.

განისაზღვრა კრედიტების სისტემა, რომელიც ბევრად მრავალფეროვანი ელემენტებისაგან შედგებოდა და მოიცავდა თვითშეფასების კითხვარს, მასწავლებლების შეფასების ჯგუფს, გაკვეთილზე დასწრებისა და მასწავლებლის შემუშავებული რუბრიკების შესაბამისად შეფასების ელემენტს, მასწავლებლის პორტფოლიოს და ა.შ.

პოზიტიური ცვლილებების კვალდაკვალ, მასწავლებელთა კვალიფიკაციის დადასტურების თვალსაზრისით, რამდენიმე საკითხი ორიენტირებული გახდა იმ მასწავლებელთა დახმარებაზე, რომელთაც ჰქონდათ კვალიფიკაციის დადასტურების პრობლემა.

გაუქმდა ზოგადპროფესიული უნარების სავალდებულო გამოცდა და სტატუსის დადასტურების / კარიერულ კიბეზე დაწინაურებისათვის მხოლოდ საგნობრივი გამოცდის ჩაბარება დარჩა აუცილებელი.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

ასევე, განისაზღვრა მასწავლებლის პროფესიული სტატუსის შესაბამისად დამატებითი სარგო, რომელიც სტატუსის ზრდასთან ერთად იზრდებოდა.

2015 წელს განათლების სამინისტრომ ასევე მიიღო ახალი დადგენილება. ამ დადგენილების მიხედვით, პედაგოგები, რომლებიც უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად საკმარის ქულებს ვერ აგროვებდნენ, პრაქტიკოსი პედაგოგის სტატუსს ოთხი წლით შეინარჩუნდებდნენ (3 წელი + პილოტირების 1 წელი) და ამ პერიოდში შეეძლოთ სტატუსის გაუმჯობესება. ანუ მასწავლებლებს ავტომატურად მიენიჭათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი და სკოლებს დაუტოვეს შესაძლებლობა, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლები ჰყოლოდათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასწავლებლობის მსურველი სერტიფიცირებული კანდიდატი იქნებოდა. ამ გადაწყვეტილებამ სისტემის მიღმა დატოვა სერტიფიცრებული მასწავლებლები, რომლებიც ჯერ არ იყვნენ ჩართულნი სისტემაში.

ამასთან, სტატუსის მოსაპოვებლად, სხვა აქტივობებთან ერთად, პრაქტიკოს მასწავლებლებს ჰქონდათ ვალდებულება, ჩაებარებინათ საგნის გამოცდა, რაც საკუთარ საგანში 60%-ზე მაღალი ქულის აღებას გულისხმობდა. გამოცდის ვერჩაბარების შემთხვევაში კი 2019 წლის ბოლომდე სისტემა უნდა დაეტოვებინათ.

ამასთანავე, 2016 წლის მომდევნო ცვლილების თანახმად, რომელიც სქემაში განხორციელდა, საგნობრივი გამოცდის მინიმალური ბარიერი, რომელიც 60%-ს შეადგენდა, შეიცვალა და განისაზღვრა 30%-ით, ხოლო დარჩენილი კრედიტების შევსებისათვის განისაზღვრა ალტერნატიული საქმიანობები მასწავლებლებისათვის.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

2015 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით, სქემაში დარეგისტრირდა 60821 მასწავლებელი.

აქედან პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა 45434 მასწავლებელს, უფროს მასწავლებლად გადანაწილდა 15236, ხოლო წამყვანად 151. ამ გადანაწილებაში შედიან ის მასწავლებლები, რომლებმაც 2015 წლის ზაფხულში საგნის გამოცდა ჩააბარეს.

იმ მასწავლებლებს, რომლებსაც ჩაბარებული ჰქონდათ პროფესიული უნარების გამოცდა და 2015 წლის ზაფხულში წარმატებით დაძლიეს საგნობრივი გამოცდაც, სქემაში გადანაწილების დროს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი: სულ 699 მასწავლებელი.

550 მასწავლებელმა, რომლებიც სერტიფიცირებულნი იყვნენ ერთი საგნით, დამატებით ჩააბარეს სხვა საგნის, რომელსაც ასევე ასწავლიდნენ, გამოცდა.

ამავე წელს მასწავლებლების რიცხვმა, რომელთაც არ ჰქონდათ ჩაბარებული პროფესიული უნარების გამოცდა და წარმატებით დაძლიეს საგნობრივი გამოცდა, 752 შეადგინა.

სტატისტიკა და საგნობრივ გამოცდაში მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მასწავლებლების კორპუსის აბსოლუტურ უმრავლესობას გამოცდების ჩაბარების პროფესიული მზაობა და უნარი არ გააჩნდა.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

2016 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითრების სქემის ფარგლებში მასწავლებლების კარიერულ კიბეზე გადასვლის სისტემა თვისებრივად შეიცვალა.

შეიცვალა განათლების გადაწყვეტილების მიმღებ პირთა რიტორიკა. განსაკუთრებული კრიტიკის საგანი გახდა გამოცდების სისტემა.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების იმდროინდელი მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას შეხედულებით, „ნებისმიერი გამოცდა, რომლის ბარიერის გადალახვასაც მასწავლებლების 70, 80 და 90 % ვერ ახერხებს, არ არის კარგი გამოცდა “ (ნეტგაზეთი, 2016).

რეალურად, 2016 წლის მონაცემებისა და პროფესიული სტატუსის მიხედვით, მასწავლებლების 70.9% (45068 მასწავლებელი) კვლავ პრაქტიკოსის სტატუსის მქონე იყო და მხოლოდ 27%-მდე (17007) მასწავლებელმა მიაღწია უფროსის სტატუსს, მხოლოდ 179 წამყვანი მასწავლებელი და 1255 სტატუსის გარეშე მყოფი მასწავლებელი იყო სისტემაში.



მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ის ცვლილებები, რომლებიც მასწავლებელთა სტატუსების შეცვლის თვალსაზრისით განხორციელდა 2017 წლიდან 2023 წლის ჩათვლით.

	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
2017-2018		8	42654	2275	18699	207	63843
2018-2019		31	35755	2654	25108	432	63980
2019-2020	2122	264	12395	2082	38696	2859	58418
2020-2021	1814	281	9381	3156	35597	7929	58158
2021-2022	685	310	2935	6132	39461	8183	57706
2022-2023	650	374	1760	4632	40738	7962	56116

ცხრილი 4. მასწავლებელთა სტატუსების ცვლა წლების მიხედვით.
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

2017-2018-დან 2022-2023 წლამდე, მასწავლებლების პროფესიული სტატუსი, სკოლის ტიპის მიხედვით, შემდეგნაირად იცვლებოდა (იხ. ცხრილი 5). ცხრილში კარგად ჩანს სხვაობა, რომელიც კერძო და საჯარო სკოლების მასწავლებლის სტატუსის ცვლილების დინამიკაში იკვეთება. კერძოდ კი, 2016-2017-დან 2018-2019 წლის ჩათვლით, კერძო სკოლის მასწავლებლებს შორის პროცენტულად მეტს ჰქონდა მაღალი პროფესიული სტატუსი, ვიდრე საჯარო სკოლების მასწავლებლებს, თუმცა, 2019-2020 წლიდან, ასეთი დინამიკა აღარ შეინიშნება.

	2016-2017		2017-2018		2018-2019		2019-2020		2020-2021		2021-2022		2022-2023	
სკოლის სტატუსი	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო
მაძიებელი							574	1548	505	1309	199	486	257	460
პრაქტიკოსი	2998	42070	3157	39497	2716	33039	1504	10891	1081	8300	30	2905	21	2326
სტატუსის გარეშე	505	750	1005	1270	1174	1480	712	1370	907	2249	1283	4849	1251	4612
უფროსი	1677	15330	2110	16589	2452	22656	3044	35652	3030	32567	2833	36628	3042	36060
წამყვანი	45	134	60	147	74	358	136	2723	311	7618	279	7904	206	7514
მენტორი			1	7	3	28	14	250	18	263	10	300	14	353
სულ	5225	58284	6333	57510	6419	57561	5984	52434	5852	52306	4634	53072	4791	51325

ცხრილი 5. 2017-2018-დან 2022-2023 წლამდე, მასწავლებლების პროფესიული სტატუსი, სკოლის ტიპის მიხედვით
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

2016-2017 წლიდან დღემდე, კერძო სკოლებში სტატუსის გარეშე მასწავლებლების წილის მატება უფრო დინამიურია.

2019-2020 და 2020-2021 წლებში, პრაქტიკოსი მასწავლებლები კერძო სკოლებში უფრო მაღალი წილით იყვნენ წარმოდგენილები, ვიდრე საჯარო სკოლებში.

თუმცა, 2021-2022 წლიდან მათი წილი კერძო სკოლებში მკვეთრად მცირდება და ნაკლები პროცენტული წილით არის წარმოდგენილნი, ვიდრე საჯარო სკოლებში.

2019 წლიდან, მაძიებლის სტატუსის დამტკიცების შემდეგ, კერძო სკოლებში მაძიებელი მასწავლებლების წილმა საგრძნობლად გადაუსწრო საჯარო სკოლის მასწავლებლების წილს.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

მეტი თვალსაჩინოებისათვის, მასწავლებლების გადანაწილება კერძო და საჯარო სკოლებში პროცენტულად არის მოცემული ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	სკოლის სტატუსი	მაძიებელი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	მენტორი
2016-2017	კერძო	0.0%	57.4%	9.7%	32.1%	0.9%	0.00%
	საჯარო	0.0%	72.2%	1.3%	26.3%	0.2%	0.00%
2017-2018	კერძო	0.0%	49.8%	15.9%	33.3%	0.9%	0.02%
	საჯარო	0.0%	68.7%	2.2%	28.8%	0.3%	0.01%
2018-2019	კერძო	0.0%	42.3%	18.3%	38.2%	1.2%	0.05%
	საჯარო	0.0%	57.4%	2.6%	39.4%	0.6%	0.05%
2019-2020	კერძო	9.6%	25.1%	11.9%	50.9%	2.3%	0.23%
	საჯარო	3.0%	20.8%	2.6%	68.0%	5.2%	0.48%
2020-2021	კერძო	8.6%	18.5%	15.5%	51.8%	5.3%	0.31%
	საჯარო	2.5%	15.9%	4.3%	62.3%	14.6%	0.50%
2021-2022	კერძო	4.3%	0.6%	27.7%	61.1%	6.0%	0.22%
	საჯარო	0.9%	5.5%	9.1%	69.0%	14.9%	0.57%
2022-2023	კერძო	5.4%	0.4%	26.1%	63.5%	4.3%	0.29%
	საჯარო	0.9%	4.5%	9.0%	70.3%	14.6%	0.69%

ცხრილი 6. მასწავლებლების გადანაწილება კერძო და საჯარო სკოლებში
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

თუ მასწავლებლების პროფესიული განვითარების დინამიკას გრაფიკულად წარმოვადგენთ, საჯარო სკოლებისათვის შემდეგ სურათს მივიღებთ:





გრაფიკი 3,4. მასწავლებლების პროფესიული განვითარების დინამიკა
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

საქართველოს მთავრობის მიერ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულაციაში ცვლილების საფუძველზე, სპეციალური განათლების მასწავლებელი აისახა სქემის ნაწილად.

2021 წელს დაიწყო მუშაობა მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესზე.

არსებული სქემისგან განსხვავებით, ახალი წესი ითვალისწინებს მასწავლებლის მხოლოდ სამი სტატუსს, რომელიც უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსს მოიცავს, რადგან პრაქტიკოსი მასწავლებლები აღარ უნდა ყოფილიყვნენ სისტემაში 2021-2022 წლის შემდეგ.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

2022-2023 წლებში, საჯარო სკოლებში მასწავლებლების პროფესიული სტატუსი, რეგიონების მიხედვით, რაოდენობრივად შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

რეგიონი	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	
აფხაზეთი	0.0%	0.0%	0.0%	25.3%	65.1%	9.7%	289
აჭარა	1.0%	0.5%	0.2%	16.6%	71.0%	10.7%	5346
გურია	0.8%	0.6%	0.0%	7.3%	75.0%	16.4%	1834
თბილისი	0.5%	0.9%	0.4%	3.9%	77.4%	16.9%	9868
იმერეთი	0.9%	1.2%	0.0%	6.7%	67.4%	23.7%	8013
კახეთი	1.0%	0.6%	2.7%	8.0%	74.8%	12.8%	4466
მცხეთა-მთიანეთი	1.0%	0.1%	0.0%	9.2%	79.8%	9.9%	1492
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1.3%	0.1%	0.0%	19.5%	70.7%	8.4%	842
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.0%	0.6%	0.1%	12.7%	73.1%	12.6%	5063
სამცხე-ჯავახეთი	0.9%	0.1%	20.2%	10.0%	63.9%	4.8%	4004
ქვემო ქართლი	1.3%	0.4%	20.8%	11.1%	57.8%	8.5%	6463
შიდა ქართლი	0.8%	1.0%	0.0%	4.6%	69.6%	24.0%	3645
სულ	**460**	**353**	**2326**	**4612**	**36060**	**7514**	**51325**

ცხრილი 7. 2022-2023 წლებში, საჯარო სკოლებში მასწავლებლების პროფესიული სტატუსი, რეგიონების მიხედვით
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

რეგიონულ ჭრილში, მასწავლებლების გადანაწილება პროფესიული სტატუსის მიხედვით აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი უფროსისა და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებელი შიდა ქართლსა და იმერეთშია, ხოლო ყველაზე მეტი პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებელი კი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, რაც ამ რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების დიდი რაოდენობით კონცენტრაციითა გამოწვეული. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა დაგვიანებით მიეცათ, რამაც ამ სკოლის მასწავლებლები არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

თუმცა, მეორე მხრივ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საჯარო სკოლებში, სტატუსის გარეშე მასწავლებლების წილი საერთო რაოდენობაში თითქმის 20 პროცენტია.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

საგულისხმოა, სწავლების ენის მიხედვით, მასწავლებლების პროფესიული სტატუსის განაწილებაც საჯარო სკოლებში 2022-2023 წლებში:

	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
აზერბაიჯანული	36	4	1307	374	953	60	2734
რუსული	5	3	103	52	649	41	853
სომხური	25	1	884	221	1324	44	2499
უკრაინული				52	3	2	57
ქართული	394	345	32	3913	33131	7367	45182
სულ	460	353	2326	4612	36060	7514	51325

ცხრილი 8. სწავლების ენის მიხედვით, მასწავლებლების პროფესიული სტატუსის განაწილებაც საჯარო სკოლებში
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

სწავლების განსხვავებული ენების მიხედვით, მასწავლებლები სკოლებში შემდეგნაირად არიან განაწილებულნი:



გრაფიკი 5. მასწავლებლები სწავლების განსხვავებული ენების მიხედვით საჯარო სკოლებში
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

მაძიებელი მასწავლებლების ყველაზე მეტი წილი წარმოდგენილია აზერბაიჯანულენოვან სკოლებში.

მასწავლებლების თითქმის 48% კი პრაქტიკოსის სტატუსის მქონეა. ასევე, 35%-ზე მეტი პრაქტიკოსი მასწავლებელია სომხურენოვან სკოლებში.

ყველაზე მეტი უფროსი მასწავლებელი წარმოდგენილია რუსულენოვან სკოლებში და საერთო რაოდენობის 76%-ზე მეტს შეადგენს.

წამყვანი მასწავლებლის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ქართულენოვან სკოლებშია და ეს მაჩვენებელი 16,3%-ს შეადგენს. უკრაინელ მასწავლებელთა 90%-ზე მეტი კი სტატუსის გარეშეა. რეალურად, მასწავლებლების გადანაწილებას სტატუსის მიხედვით სწავლების სხვადასხვა ენის სკოლებში რაციონალური ახსნა გააჩნია და მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციის დადასტურების მექანიზმსა და პროცესს უკავშირდება.

არაქართულენოვან სკოლებში პრაქტიკოსი მასწავლებლების სიმრავლემ ასახვა ჰპოვა შესაბამის გადაწყვეტილებებზე. არაქართულენოვანი სკოლების პრაქტიკოს მასწავლებლებს დამატებითი დრო და სხვადასხვა შესაძლებლობა მიეცათ სტატუსის ასამაღლებლად. ამასთანავე, სხვადასხვა რეგულაცია მოქმედებდა სომხურისა და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის მასწავლებლებზე და განსხვავებული სხვა საგნების მასწავლებლებზე.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების ეთნიკური უმცირესობის ენების (აზერბაიჯანული და სომხური ენების) პრაქტიკოსი მასწავლებელი, 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე, ინარჩუნებს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს, ხოლო საგნების მასწავლებლები - 2023-2024 წლამდე.

უფროსი მასწავლებლის სტატუსის მიღება საგნების მასწავლებლებისთვის შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მათ შორის - ყველაზე გამარტივებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ქართული ენის კურსის გავლით და საგნობრივი კომპეტენციის ნაწილობრივ დადასტურებით (1, 4, 7 ან 10 კრედიტ ქულაზე);

ასევე - ტრენინგკურსის გავლით. ხოლო მშობლიური ენის პრაქტიკოსი მასწავლებლები 2026 წლამდე უფროსი მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებენ იმ შემთხვევაში, თუ გაივლიან (ან გავლილი აქვთ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ქართული ენის კურსი, ან წარმოადგენენ ქართული ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ნაწილობრივ დაადასტურებენ საგნობრივ კომპეტენციას (1, 4, 7 ან 10 კრედიტქულა). მას უფლება მიეცემა, გაიაროს პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგკურსი, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

მასწავლებელთა სერტიფიცირება და პროფესიული განვითარება 2015-2023: მასწავლებელთა სტატუსების ცვლილება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა სტატუსების შეცვლა და სტატუსის ამაღლება დაკავშირებული იყო სახელფასო დანამატის ზრდასთან. მასწავლებლებს ამ წლების განმავლობაში არ გაზრდიათ საბაზო ხელფასი და ის 405 ლარს შეადგენს, თუმცა სახელფასო დანამატი მიება მასწავლებლის სტატუსს და უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები იღებდნენ სახელფასო დანამატებს, ხოლო პრაქტიკოსი მასწავლებელი სტატუსის დანამატს ვერ იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ საბაზო ხელფასი ამ წლებში არ გაზრდილა, სტატუსის დანამატი 2015 წლიდან დღემდე უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის თითქმის გახუთმაგდა.

წელი	**უფროსი**	**წამყვანი**	**მენტორი**
2015	160 ლარი	250 ლარი	300 ლარი
2017	320 ლარი	500 ლარი	700 ლარი
2018	320 ლარი	700 ლარი	1000 ლარი
2019	470 ლარი	850 ლარი	1150 ლარი
2021	570 ლარი	950 ლარი	1250 ლარი
2022	670 ლარი	1050 ლარი	1350 ლარი
2023	795 ლარი	1175 ლარი	1475 ლარი

ცხრილი 9. სახელფასო დანამატის ზრდა სტატუსის მიხედვით.

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

2012 წელი საპარლამენტო არჩევნების წელი იყო და, სამინისტროს მიდგომა გაცხადდა მასწავლებელთა სერტიფიცირების გამოცდის გამარტივების შესახებ.

2012 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების სტატისტიკა, როგორც რეგისტრაციის, ასევე გამოცდების ჩაბარებისა და მასწავლებელთა სერტიფიცირების ნაწილში, საარჩევნოდ გამოცდების გამარტივების გაცხადებული რიტორიკის პრაქტიკული განხორციელების თვალსაჩინო მაგალითია.

კერძოდ, 2010 წელს ორივე გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, სერტიფიცირება 1147-მა მასწავლებელმა შეძლო. 2011 წელს ასეთი მასწავლებლების რაოდენობა 2500 იყო; თუმცა, 2012 წელს სერტიფიკატის აღება 8000-მა მასწავლებელმა შეძლო, რაც ნიშნავს, რომ სწორედ საარჩევნო წელს, იმაზე 2.5-ჯერ მეტი მასწავლებელი გახდა სერტიფიცირებული, რამდენიც წინა ორი წლის განმავლობაში ერთად.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ 2011 წელს იგეგმებოდა სასერტიფიკატო გამოცდების ორგანიზება ბუნებისმეტყველების (1-6 კლასები) მასწავლებლებისთვისაც, თუმცა, გამოცდის წელმა გადაიწია და პირველად 2012 წელს ჩატარდა. რაც შეეხება 2013-2014 წლებს, ამ პერიოდში სულ 2500-მა მასწავლებელმა შეძლო სერტიფიცირებულის სტატუსის მიღება. ანუ 2010-2015 წლებში სერტიფიცრებული 15387 მასწავლებლიდან უმრავლესობის (52%-ზე მეტის) სერტიფიცირება სწორედ 2012 წელს განხორციელდა.

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე



გრაფიკი 6.- სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა წლების მიხედვით

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

თუ მონაცემებს შევხედავთ ზოგადპროფესიული უნარებისა და საგნობრივი გამოცდის ჭრილში, განსხვავება, რომელიც 2012 წლის სტატისტიკაში იკვეთება ასევე ცალსახაა: 2010-2014 წლებში, ზოგადპროფესიული უნარების გამოცდაზე გასული მასწავლებლებიდან, 2010 წელს გამოცდაზე გასული მასწავლებლებლების 30/8%-მა, 2011 წელს - 31%-მა, 2012 წელს - 43.1%-მა, 2013 წელს - 37.3%-მა, ხოლო, 2014 წელს კი 24.9%-მა გადალახა მინიმალური ზღვარი.



გრაფიკი 7 . ზოგადპროფესიული უნარების გამოცდაზე გასული მასწავლებლების მიერ მინიმალური ზღვარის გადალახვის მაჩვენებელი
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

თუკი რაოდენობრივ ჭრილში განვიხილავთ, 2010-2015 წლებში პროფესიულ უნარებში ზღვრგადალახულ მასწავლებელთა რაოდენობას, აქაც თვალსაჩინოა 2012 წლის გავლენა. 2010-2014 წლებში პროფესიულ უნარების გამოცდა 26000 ზე მეტმა აპლიკანტმა შეძლო და აქედან თითქმის 12000-მა აპლიკანტმა ეს სწორედ 2012 წელს მოახერხა.

წლების მიხედვით არსებული რაოდენობრივი სხვაობა მინიმალური ზღვრის გადამლახველთა რაოდენობაში და 2012 წლის გავლენა ნათლად არის წარმოდგენილი ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში:



გრაფიკი 8. პროფესიული უნარების გამოცდაში ზღვარგადალახულ აპლიკანტთა რაოდენობა წლების მიხედვით
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

2012 წლის შემდგომ, მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ციკლი 2016 წლით იყო განსაზღვრული და სწორედ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა მოახდინა შესაბამისი გავლენა მასწავლებელთა სერტიფიცირების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის თვალსაზრისით.

თუ 2015-2016 წლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ცვლილებათა დინამიკას განვიხილავთ, თვალსაჩინო ხდება, რომ სქემაში განხორციელებული ცვლილებები მთლიანად „აწყობილია“ მოქმედი უმრავლესი მასწავლებლების არსებულ კომპეტენციაზე და არა ამ კომპეტენციის გაუმჯობესებაზე ან უფრო მაღალი კომპეტენციის მასწავლებელთა კორპუსის შექმნაზე და ორიენტირებულია მოქმედი, თუნდაც დაბალი კომპეტენციის მასწავლებლების პროფესიაში შენარჩუნებაზე.

შესაბამისად, 2015-2016 წლების სქემის შესაბამისი კარიერულ კიბეზე დაწინაურება ნაკლებად გარდაისახება კვალიფიკაციის მატებაში, ხოლო სტუტუსი არ განისაზღვრება პროფესიული მიღწევების შესაბამისად დაწინაურებაში.

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

2015-2016 წლებში განხორციელებული ცვლილებებით, მასწავლებელთა უმრავლესობაზე (დაახლოებით 77%-ზე) იყო ორიენტირებული და მათგან კომპეტენციის დადასტურების, მათი საქმიანობის შეფასების, მათი საჭიროების იდენტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების, მასწავლებელთა კორპუსის განახლების და კომპეტენციის ზრდის ნაცვლად, მოქმედ მასწავლებლებს, რომლებსაც მასწავლებელთა გამოცდით კომპეტენციის დადასტურება და მასწავლებელთა სტატუსის მოპოვება გაუჭირდათ, შემდეგ პირობებს სთავაზობდა:

(ა) ყველა მასწავლებელი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა სერტიფიცირებული და ადასტურებდა თუ არა საკუთარ კომპეტენციას, ავტომატურად გადანაწილდა მასწავლებელთა სხვადასხვა კატეგორიაში, მიენიჭა შესაბამისი სტატუსი და ჩაერთო პროფესიული განვითარების სქემაში;

(ბ) მასწავლებელთა უმრავლესობას მიეცა შესაძლებლობა, დაედასტურებინა კომპეტენცია და აემაღლებინა სტატუსი გამარტივებული გზით, ისე, რომ შესაძლებელი ხდებოდა საგნობრივ გამოცდაში 30%-იანი ზღვრის გადალახვის შემთხვევაშიც კი, მასწავლებელი დაწინაურებულიყო უმაღლესი - მენტორი მასწავლებლის კატეგორიამდე;

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

(გ) სერტიფიცრებულ მასწავლებლებს, რომლებიც არ იყვნენ სისტემაში და, სხვადასხვა მონაცემით, მათი რაოდენობა 700-დან 1300-მდე იყო, არ მიეცათ შესაძლებლობა, ჩაენაცვლებინათ არასერტიფიცირებული პედაგოგები, რადგან არასერტიფიცირებულ პედაგოგებს მიენიჭათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი და 4 წლის ვადა მიეცათ ამ სტატუსის ასამაღლებლად. ამავე დროს, ამ ვადამ, გარკვეული პირობებით, რამდენჯერმე გადაიწია;

(დ) პროფესიული უნარების გამოცდის ვალდებულება ჩანაცვლდა კრედიტების დაგროვების ალტერნატიული სისტემით და ალტერნატიული კრედიტების დასაგროვებლად მასწავლებლებს მიეცათ 3+1 წლის ვადა, რაც ბევრად უმარტივებდათ მათ სტატუსის შეცვლას იმ პირობებშიც კი, თუ მათი ;პროფესიული კომპეტენცია დაბალი იყო, რადგან ობიექტურად გაზომვადი ინსტრუმენტით მათი კომპეტენციის შემოწმება სავალდებულო აღარ იყო.

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

გამარტივებული მექანიზმების ამუშავების შედეგად, 2015-2020 წლების განმავლობაში მკვეთრად მოიმატა მასწავლებელთა სტატუსის ამაღლებამ.

მასწავლებელთა სტატუსის ამაღლება განსაკუთრებით გამარტივებული და ინტენსიური გახდა 2019-2020 წლებში, რაც ასევე საარჩევნო ციკლს ემთხვევა (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები).

2019-2020 წელს 23360-მა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და პრაქტიკოსი მასწავლებლიდან გადავიდა უფროსი მასწავლებლის კატეგორიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან 2020 წლამდე პრაქტიკოსი მასწავლებლების რაოდენობა 33039-მდე შემცირდა, ანუ ამ რაოდენობის მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და მათგან 70,7%-მა სწორედ 2019-2020 წლებში მოახერხა სტატუსის ამაღლება (გრაფიკი 9).

უნდა აღინიშნოს, რომ 2019-2020 წლებში იმდენად მკვეთრი იყო სტატუსის ამაღლების ტენდენცია, რომ დაპირებული დანამატის ზრდა იმ წელს ვერ განხორციელდა და მომავალი წლისთვის გადაიდო.

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე



გრაფიკი 9: პრაქტიკოსი მასწავლებლების სტატუსის ამაღლების დინამიკა
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ 2015 წლის სქემის მიხედვით, 2020 წელს სისტემაში არ უნდა ყოფილიყვნენ პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებლები, გარდა იმ სკოლებისა, სადაც სწავლების ენა იყო სხვა (აზერბაიჯანული, სომხური და რუსული). თუმცა, მიუხედავად სტატუსის მოპოვების წესის არაერთგზის გამარტივებისა და ე.წ. "საპენსიო ჯილდოს“ ინიციატივისა, 2020 წლისთვის მასწავლებლების 21%-ზე მეტი კვლავ პრაქტიკოსის სტატუსს ინარჩუნებდა.

	მაძიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
2017-2018		8	42654	2275	18699	207	63843
2018-2019		31	35755	2654	25108	432	63980
2019-2020	2122	264	12395	2082	38696	2859	58418

ცხრილი 10. სტატუსის მიხედვით მასწავლებელთა რაოდენობა 2017-2020 წლებში
წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

შესაბამისად, მნიშვნელოვანი გახდა, იმ პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, ვინც ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა უფროსი მასწავლებლის კატეგორიის მიღებას, დამატებით მექანიზმები ამუშავებულიყო და ეს პროცესიც საარჩევნო წელს ემთხვევა: 2020 წლის ცვლილებით, მასწავლებლები, რომლებსაც ამავე წლის იანვრის მდგომარეობით, პრაქტიკოსის სტატუსი ჰქონდა, თუკი ამავე წლის მაისამდე დარეგისტრირდებოდა საგნობრივ/პროფესიულ გამოცდაზე, შესაძლებლობა ეძლეოდა, გამოცდებზე მინიმალური ქულების აღების შემთხვევაში, დაედასტურებინა კვალიფიკაცია დამატებითი საქმიანობისა და აქტივობების საშუალებით.

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, აპრილში დაგეგმილი გამოცდების ჩატარება შეუძლებელი გახდა. შესაბამისად, პრაქტიკოს მასწავლებლებს სტატუსი 2022 წლამდე გაუგრძელდათ.

ამ და მომდევნო, 2021 წელს შეტანილი ცვლილების მიხედვით, პრაქტიკულად არც ერთი მასწავლებელი არ ტოვებს სისტემას კვალიფიკაციის დაუდასტურებლობის გამო. უფრო კონკრეტულად, იმ მასწავლებლებს, რომლებიც 2020 წლის მაისამდე დარეგისტრირდნენ გამოცდაზე, მაგრამ ვერ შეძლეს გამოცდის ჩაბარება, გაუგრძელდათ სისტემაში დარჩენის შესაძლებლობა 2022 წლის ბოლომდე სტატუსის გარეშე.

საარჩევნო ციკლის გავლენა სერტიფიცირებასა და პროფესიულ განვითარებაზე

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს ასევე აქვს გავლენა მიღებულ გადაწყვეტილებებზე და 2023-2024 აკადემიური წლისთვის დაანონსდა და / ან განხორციელდა შემდეგი ცვლილებები და ინიციატივები:

(ა) წამყვანი და მენტორი მასწავლებლის გამოცდის დროებით შეჩერება და 2023 წელს არჩატარება;

(ბ) მენტორი მასწავლებლის განსაკუთრებული წესით მიმნიჭებელი კომისიის მუშაობის შეჩერება;

(გ) 360 გრადუსიანი პორტფოლიოზე დაფუძნებული შეფასების ვადის გადაწევა და პროცედურების გამარტივება;

(დ) სახელფასო დანამატის მასწავლებლის სტატუსთან მიბმის პოლიტიკის შეცვლა და გადახედვა;

(ე) 2024 წლისთვის საბაზო ხელფასის გაზრდა და 160 მილიონი ლარის დამატებით მიმართვა მასწავლებელთა ხელფასების გაზრდისკენ.

წყაროები

https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=4264
https://edu.aris.ge/news/60-821-pedagogidan-wamyvani-maswavleblis-statusi-151-ma-miigo-sqemashi-gadanawilebis-shedegi.html
https://netgazeti.ge/life/36891/
https://mes.gov.ge/content.php?id=2735&lang=geo
https://tabula.ge/ge/news/542483-sertipitsireba-konkurentsiis-natsvlad
https://edu.aris.ge/news/maswavleblebs-gamocdis-chabarebis-gareshe-statusi-agar-mienichebat-giorgi-amilaxvaris-gancxadeba.html
https://akhaliganatleba.ge/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94-3/
https://bm.ge/news/pedagogebis-10-ze-meti-kompetencias-ver-adasturebs---reformis-10-weli-da-savalalo-shedegebi/97396
http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/programebi%202015.pdf
https://mes.gov.ge/content.php?id=13401
https://edu.aris.ge/news/wamyvani-da-mentoris-statusis-mosapovebeli-gamocda-wels-agar-chatardeba-ganatlebis-ministris-gadawyvetileba.html
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2009). მინისტრის ბრძანება #1101“მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებისა და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ (2009 წლის 4 დეკემბერი, თბილისი). https://matsne.gov.ge/ka/document/view/87766?publication=0
https://mes.gov.ge/content.php?id=1120&lang=geo
https://mes.gov.ge/content.php?id=3769&lang=geo
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2011). *„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №90/ნ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის დამტკიცების შესახებ“.* (2011 წლის 19 მაისი, თბილისი).
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1335610?publication=0
საქართველოს მთავრობა. (2019). *„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №241 დადგენილება* (2019 წლის 23 მაისი, თბილისი).
საქართველოს მთავრობა. (2015). საქართველოს მთავრობის №68 დადგენილება *„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“* (2015 წლის 20 თებერვალი, თბილისი).
საქართველოს მთავრობა. (2020). *საქართველოს მთავრობის დადგენილება №390 „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“* საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (2020 წლის 26 ივნისი, თბილისი).
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №67/ნ 2020 წლის 30 ივნისი „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ- https://matsne.gov.ge/ka/document/view/4841342?publication=0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“- https://matsne.gov.ge/ka/document/view/80548?publication=0

ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა
USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით.
მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით,
ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.
ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა
და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.
ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID- ის ან/და
ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო
ინტეგრაციისა და
ეროვნებათშორისი
ურთიერთობების
ცენტრი

www.cciir.ge
FB/CCIIR
cciir.info@gmail.com